ინფორმირდით ყოველგვარი საფრთხის გარეშე

თქვენ შეგიძლიათ მიმღები ცენტრის სოციალურ მუშაკს პირადად ესაუბროთ.
თუ სოციალურ მუშაკთან კავშირი არ გაქვთ, დარეკეთ რომ გაიგოთ როგორ შეგიძლიათ შეიქმნათ უსაფრთხოება და როგორ ისარგებლოთ თქვენი უფლებებით.

სანამ დარეკავდეთ

- დარწმუნდით იმაში რომ უსაფრთხო ადგილას იმყოფებით და საუბრისთვის საკმარისი დრო გაქვთ,
- შეამოწმეთ ტელეფონი დატენილი გაქვთ თუ არა,
- იფიქრეთ იმ კითხვებზე რომელთა დასმაც გსურთ: რა პრობლემებს ხვდებით, ან რა გიშლით ხელს რომ თავი დააღწიოთ ამ ძალადობრივ ურთიერთობას?

დარეკვის დროს

- საჭიროების შემთხვევაში, ითხოვეთ თარჯიმანი,
- დასვით ყველა აუცილებელი შეკითხვა,
- ითხოვეთ რომ დაგინიშნონ შეხვედრის ადგილი თქვენთან ახლოს მდებარე მისამართზე, სადაც სოციალური მუშაკი დახმარების მიზნით შეგხვდებათ.

თქვენი საუბარი დარჩება კონფიდენციალური

საფრთხის შემთხვევაში:

პოლიცია: 17

რათა ამხილოთ:

ქალთა მიმართ ძალადობა: 39 19
სექსუალური ძალადობა: 0 800 05 95 95 [Collectif féministe contr le viol]
იძულებით ქორწინება: 01 30 31 05 05 [Voix de femmes]
ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება და კვეთა: 39 19 უფროსებისთვის, 119 არასრულწლოვნებისთვის [Allo enfance en danger]
სექსუალური ექსპლუატაცია, იძულებითი პროსტიტუცია: 0825 009 907 [Association ALC]

ძალადობის წინაშე თქვენ მარტო არ ხართ

SWIM
Safe Women in Migration

www.france-terre-asile.org/projet-swim

Partenaires européens

Italy	Great Britain	France	Italy	Romania	Sweden
Associazione Croce Rossa Italiana	British Red Cross	France terre d'asile	Fondazione ISMU	Asociatia Alternative Sociale	Svenska Roda Korset

Cette brochure est financée par le Programme de l'Union européenne pour l'égalité des droits et la citoyenneté (2014-2020). Le contenu de ce rapport ne représente que le point de vue de l'auteur et constitue sa seule responsabilité. La Commission européenne n'assume aucune responsabilité quant à l'utilisation qui peut être faite des informations qu'elle contient.

SWIM
Safe Women in Migration

დავიცვათ მიგრანტი ქალები

Ce projet est financé par le Programme de l'Union Européenne pour les droits, l'égalité et la citoyenneté (2014 – 2020)

გრძნობთ თუ არა თავს უსაფრთხოდ?

- თქვენი ოჯახის რომელიმე წევრის გეშინიათ?
- თქვენი რომელიმე ახლობელი თქვენს მიმართ ძალადობას იჩენს?
- მიგაჩნიათ რომ ახლობელი გემუქრებათ, შეურაცხყოფას გაყენებთ ან გამცირებთ?
- ვინმე გაშინებთ, ცდილობს დაგაშნოთ, გემუქრებათ რომ რაიმეს გავნებთ ან გემუქრებათ თქვენზე დომინაციის მიზნით?
- თავს უფლებას აძლევენ რომ შეგეხონ მაშინაც კი, როცა თქვენ თანახმა არ ხართ?
- იძულებული ხართ რომ სექსუალური ურთიერთობა გქონდეთ თქვენს პარტნიორთან, ან სხვა პირთან?
- გემუქრებიან რომ თქვენს შვილებს რამეს დაუშავებენ ან მათ მოგტაცებენ?
- ვალდებული ხართ ნებართვა ითხოვოთ როცა საქმე ეხება საკუთარი ფულის ხარჯვას, სახლიდან გასვლას, ტელეფონზე საუბარს, მეგობრების ან ოჯახის წევრების მონახულებას?
- თქვენი ნივთები გაანადგურეს თქვენი შეშინების ან თქვენზე დომინაციის მიზნით?
- წაგართვეს პასპორტი ან სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები?
- თქვენ იყავით შანტაჟის მსხვერპლი?
- თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ გაიძულებენ რომ იქორწინოთ?
- ცდილობენ რომ ფიზიკური ზიანი მოგაყენონ?

თუ თქვენ რომელიმე შეკითხვას დადებითად პასუხობთ, შესაძლოა რომ ძალადობრივი სიტუაციის ან დომინაციის მსხვერპლი ხართ.

ეს თქვენი ბრალი არ არის

ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს ძალადობის მსხვერპლი თავისი ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, მოქალაქეობის, სექსუალური ორიენტაციის თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედევად, მნიშვნელობა არ აქვს სად იმყოფება იგი.

თქვენ არ ხართ პასუხისმგებელი იმაზე, რაც თქვენს თავს ხდება, ეს თქვენი ბრალი არ არის.

ძალადობა და დამცირება არასდროს არის მისაღები.
ევროპის ყველა ქვეყანაში თქვენ გაქვთ სამართლიანობის და დაცვის უფლება.

თქვენ არ ხართ მარტო, სოციალური მუშაკები და ადვოკატები არიან იმისთვის რომ თქვენ დაგეხმარნენ.

ნუ შეგრცხვებათ ამაზე საუბარი, რადგან მხოლოდ თქვენს სიტყვას შეუძლია რომ რამე შეცვალოს.

თქვენ გაგაჩნიათ უფლებები

- თვშესაფარზე საკუთარი მოთხოვნა შეგიძლიათ წარადგინოთ თქვენი მეუღლის, ან თქვენი ოჯახისგან დამოუკიდებლად. თქვენ გაქვთ უფლება რომ ცალკე გქონდეთ გასაუბრება OFPRA-ში და რომ ინდივიდუალური გადაწყვეტილება მიიღოთ.
- თქვენი იურიდიული და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოქმედებების განსახორციელებლად, შეგიძლიათ რომ მიღება გქონდეთ ქალთან და შეგიძლიათ რომ თარჯიმანი ქალი დაისწროთ.
- თქვენ შეგიძლიათ ითხოვოთ რომ თქვენთან შეხვედრებს და საუბრებს ადგილი არ ჰქონდეს საჯარო სივრცეში.
- თუ თქვენ ხართ ძალადობის ან დაშინების მსხვერპლი, თქვენი უფლებაა რომ ისარგებლოთ უფასო იურიდიული რჩევებით რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს:
  - თქვენი უსაფრთხოება,
  - თქვენი შვილების მეურვეობა,
  - ოჯახის ფინანსური რესურსების განაწილება,
  - რეგულარიზაციის პროცედურები,
  - განქორწინების პროცედურა.
- თქვენ გაქვთ უფლება რომ ითხოვოთ ცალკე საცხოვრებელი.
- თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ შესაბამისი მკურნალობა იმასთან მიმართებაში რაც გადაგხდათ.
- თქვენ უფლება გაქვთ ისარგებლოთ ფსიქოლოგიური მხარდაჭერით რათა გადალახოთ თქვენი ცხოვრების ეს რთული მომენტები.